სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030620427134120

19 / ივნისი / 2020 წ. **თბილისი #06-120/ო**

ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ერთიანი ღონისძიებები თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს კონსტანინე ოჩიგავას.
3.დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.
4. ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის პირველი აპრილის #06-74/ო ბრძანება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე